

ვულკანური ეკოსისტემები

/სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის მაგალითზე/

ბეჟან თუთბერიძე¹, მარიამ ახალკაციშვილი², მირიან მაქაძე³, ნინო კობახიძე⁴
bejan.tutberidze@tsu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ.13, 0186, თბილისი, საქართველო

საქართველოს ტერიტორიის ლანდშაფტის ფორმირებაში გლობალურ როლს ახალგაზრდა ვულკანური და ვულკანოგენურ-დანალექი წარმონაქმნები თამაშობს, რომელთა ასაკი ფართო საზღვრებში ცვალებადობს და მოიცავს პერიოდს გვიან მიოცენიდან – ჰოლოცენის ჩათვლით; ვულკანური პროდუქტების კვლევას მორფოლოგიური, პეტროლოგიურ-გეოქიმიური მიმართულებით არც ქართელი და არც უცხოელი მკვლევარების მხრიდან ყურადღება არ აკლია, თუმცა ბიოტურ /მცენარეული და ცხოველური სამყარო/და აბიოტურ /ქანები, მინერალები, ნიადაგური საფარი/ სამყაროზე ვულკანური პროდუქტების ზემოქმედებით გამოწვეული ცვლილებების სტრუქტურისა და დინამიკის შესახებ ინფორმაცია ძალიან მწირია ან საერთოდ არ არსებობს. ჩვენი კვლევის მთავარი მიზანი სწორედ ამ ხარვეზის შევსების მცდელობაა. კვლევის ამ ეტაპზე შესწავლის ობიექტად შერჩეული იქნა გოდერძის წყების მძლავრ ვულკანოგენურ-დანალექ წარმონაქმნებში დაცული ფლორა, რომელთა მორფოლოგიური შესწავლა და დიაგნოსტიკა მრავალ ავტორთა შრომებში საკმაოდ დეტალურად არის წარმოდგენილი, თუმცა ავტორებისათვის ფლორის აღწერის პარალელურად ვულკანური ეკოსისტემები შესწავლის ობიექტად არ გამხდარა. ჩვენი კვლევა ეფუძნება გასულ წელს ჩატარებულ საველე სამუშაოების შედეგად გოდერძის წყების ვულკანოგენურ-დანალექი წარმონაქმნებში მოპოვებულ მდიდარ ფლორისტული მასალის კვლევის მონაცემებს.

კვლევის შედეგების საფუძველზე შედგენილ საბოლოო ანგარიშში დეტალურად იქნება განხილული ვულკანური ეკოსისტემების ფაქტორების /ლითოდინამიური, ჰიდროდინამიური/ როლი ბიოტის განადგურებაში.